11690/3-52/21 2 29112021

11690/3-52/21
29-11-2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. მუნიციპალიტეტის მიერ ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის შესახებ;
2. გთხოვთ წარმოადგინოთ აღნიშნული პროგრამის ბენეფიციართა 2020-2021 წლების მონაცემები ჩაშლილი სახით თვეების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რესან კონცელიძე

წერილის ნომერი: **14-1421337785**
თარიღი: **03/12/2021**
პინი: **8274**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ რესან კონცელიძეს

თქვენი 2021 წლის 29 ნოემბრის N02-1421333349-14 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამას ,,ლუკა ასათიანის სტიპენდიას წარმატებული სტუდენტებისათვის'' 2020 წლის და 2021 წლის მონაცემებს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის 2021 წლის 02 დეკემბრის N02-1421336394 წერილის საფუძველზე გაცნობებთ, რომ პროგრამის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ათას ლარს და კონკურში გამარჯვებული თითეული სტუდენტი ფინანსდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. სტიპენტია გაიცემა ორ ეპატად, საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების აკადემიური შედეგების შესაბამისად. 2020 წელს კონკურში გამარჯვებული 50 სტუდენტი დაფინანსდა ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის '' ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 08 ივლისის N541 ბრძანების თანახმად, ხოლო 50 სტუდენტი დაფინანსდა ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის'' ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე''ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 24 ნოემბრის Nბ14.142032917 ბრძანების თანახმად.

2021 წელს სტიპენტია გაიცა ორ ეპატად, საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების აკადემიური შედეგების შესაბამისად. კონკურში გამარჯვებული 50 სტუდენტი დაფინანსდა ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის '' ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 მაისის Nბ14.14211395 ბრძანების თანახმად, ხოლო 50 სტუდენტი დაფინანსდა, ,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ,,ლუკა

ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის'' ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 ნოემბრის N№14.14213144 ბრძანების თანახმად.

დანართი: 16 ფურცელი

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge